

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 5 ივნისი

ქ.ოზურგეთი

13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, მ.ზოიძე, ალ.დლონტი, ლ.ბიგვავა, ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, ლ.სიჭინავა, ლ.ნინიძე, დ.მამალაძე, ხ.ცერცვაძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხს:ლ საჯაია

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია კომისიაში მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილის შესახებ, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ორი მოსწავლის ტურიზმის განვითარების საკითხების ევროპული გამოცდილების გაცნობის მიზნით, ევროპაში მოგზაურობისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 900 ლარის გადარიცხვას. კომისის წევრებმა მხარი დაუჭირეს გადარიცხვის განხორციელებას.

კომისიის წევრმა ვ.ჩიგოგიძემ, კომისიის წინაშე დააყენა საკითხი უკრაინის რესპუბლიკის გენიჩესკის რაიონისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტრადიციული მრავალწლიანი მეგობრობის აღდგენასთან დაკავშირებით განსახორციელებელი სამუშაოების -მეგობრობის ძეგლისა და გენიჩესკის ქუჩის მოწესრიგების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიისათვის წერილობითი მიმართვის გაგზავნის თაობაზე.

გადაწყვეტეს:

1. მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილი მიღებულ იქნას ცნობად.
2. მომზადდეს წერილი და გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ. შარაშენიძე) უკრაინის რესპუბლიკის გენიჩესკის რაიონისა და საქართველოს რესპუბლიკის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტრადიციული მრავალწლიანი მეგობრობის აღდგენასთან დაკავშირებით განსახორციელებელი სამუშაოების - მათ შორის მეგობრობის ძეგლისა და გენიჩესკის ქუჩის მოწესრიგების მიზნით.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია